პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)

„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

პრესრელიზი

სასტუმრო „თბილისი მერიოტი“
სააქტო დარბაზი „ბოლრუმი“
2023 წ., 13 დეკემბერი, 10:00 – 14:15

2023 წლის 13 დეკემბერს ქ. თბილისში გამართება საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევისადმი მიძღვნილი მეორე პლენარული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობის მიერ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით დაარსებული უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო და ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (სბმკ „ორქისი) ექსპერტთა გუნდი.

პლენარული შეხვედრა ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სბმკ „ორქისი“-ს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. სბმკ „ორქისი“ წარმოადგენს ქვეპროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინატორის როლი აკისრია.

მეორე პლენარული შეხვედრის მიზანია უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ინფორმირება ამა წლის 17 ოქტომბერს გამართული პირველი პლენარული შეხვედრის შემდგომ სბმკ „ორქისი“-ს გუნდის მიერ შესრულებული სამუშაოების თაობაზე, როგორიცაა ცირკულარობის ეროვნული გზამკვლევის მოსამზადებლად შემუშავებული სტრატეგიული მიდგომა, საქართველოსთვის განსაზღვრული ცირკულარობის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ პლენარული შეხვედრის ფარგლებში, სბმკ „ორქისი“-ს ექპერტებისა და უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრების მონაწილეობით გაიმართება მრგვალი მაგიდა, რომლის მიზანია ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციების განხილვა და ცირკულარობის გზამკვლევის გულდასმით შემუშავებისათვის სამუშაო მიმართულებების განსაზღვრა.

ქვეპროექტი „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. ქვეყნისათვის ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევის მომზადებასთან ერთად, იგი ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში საკვანძო დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს, გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების განვითარებას ითვალისწინებს, რისი მიზანიც არის ქვეყანაში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება და მდგრადი განვითარების მიღწევა.

ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი დაფინანსების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ამერიკათაშორისი განვითარების ბანკის (IDB Invest) განვითარების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტი. მათ ეხმარება სბმკ „ორქისი“-ს გუნდი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ექსპერტებით.

- ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. ეს ეკონომიკური კონცეფცია აღდგენით ხასიათს ატარებს და მისი მიზანია განვითარება და სასრული რესურსების მოხმარება თანდათანობით ურთიერთგამიჯნოს. მას ხშირად მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასა და მწვანე ეკონომიკასთან აკავშირებენ.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან, სისტემურ ცვლილებას მოითხოვს. სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, იგი ითვალისწინებს კარგად გამართული, არადამამახინჯებელი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას, რომელიც ცირკულარული ეკონომიკის ინიციატივებისთვის წინაღობებს აღმოფხვრის და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობამ ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის შემუშავება წამოიწყო: იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც გრძელვადიან ხედვასა და მის მისაღწევად საჭირო ძირითად ინიციატივებს განსაზღვრავს. ცირკულარობის გზამკვლევის საფუძველს ქმნის: ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის ახალი, 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ევროპული „მწვანე შეთანხმების“ ძირეული ნაწილია; მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების თაობაზე საქართველოს ვალდებულება; ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანგარიში; და საკვანძო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები.

პლენარული შეხვედრა ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სბმკ „ორქისი“-ს ერთობლივი ძალისხმევით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. აღნიშნულ ქვეპროექტს სბმკ „ორქისი“ ახორციელებს, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლი აკისრია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო კუჭავა

ტელ: 595335699
ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com